სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1991
სამშაბათი
15
იანვარი
№ 6 (10396)
ფასი 5 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### „ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ნაწილობრივ შეიცვალოს „ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილების პირველი პუნქტი და საგანგებო წესების მოქმედების ვადა ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე გაგრძელდეს 1991 წლის 12 თებერვლამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 11 იანვარი.

## საპროტესტო მიტინგი ზუგდიდში

10 იანვარს ზუგდიდში თავისუფლების მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგი მიძღვნილი პრეზიდენტ გორბაჩოვის 7 იანვრის ბრძანებულებისადმი.

მიტინგს, რომელსაც 6000-მდე კაცი დაესწრო, უძღვებოდა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი აბესალომ ტუღუში.

სიტყვებით გამოვიდნენ: სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის წევრი, ბატონი ირაკლი ჟვანია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი ბატონი ულდან შელია, საქალაქო სკოლა-ინტერნატის დირექტორი ქალბატონი ნინო ავალიანი, ბატონი ზვიად ჭურღულია, ზუგდიდში ამ დღეებში ჩამოყალიბებული „ქართველ მევარდენთა ლეგიონის“ სამეგრელოს სადროშოს წარმომადგენელი ხუბუა.

მიტინგზე მიღებულ იქნა მიმართვა პრეზიდენტ გორბაჩოვისადმი, რომელსაც აქვე გთავაზობთ. (მიმართვა ტელეგრაფით უკვე გაეგზავნა პრეზიდენტს).

## მოსკოვი, კრემლი საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ გორბაჩოვს

ბატონო პრეზიდენტო!

ჩვენ, მონაწილენი ქ. ზუგდიდში 1991 წლის 10 იანვარს გამართული მიტინგისა, რომელსაც 6 ათასამდე კაცი დაესწრო, აღშფოთებულნი ვართ თქვენი უპასუხისმგებლო, პროვოკაციული ბრძანებულებით, რომელმაც მკვეთრად გაამწვავა ისედაც მწვავე პოლიტიკური ვითარება საქართველოს რესპუბლიკაში.

თქვენ იმ საშობაო საჩუქრით, რომელიც ქართველ ერს უძღვენით, საბოლოოდ მოიხსენით ნიღაბი. თქვენს ამ ბრძანებულებაში ჩვენ ნათლად დავინახეთ სახელმწიფო გადატრიალება, სადაც გორბაჩოვი „დემოკრატი“ საბოლოოდ დაამარცხა გორბაჩოვმა-დემოკრატმა.

თქვენ აშკარად დადექით ხახვლის სამართლის დამნაშავეთა, იმპერიხტების დამქაშთა და მკვლელთა მხარეზე, იმათ მხარეზე, რომელთაც ხელები არ აკანკალებიათ აკვნის ბავშვისათვის ტყვიის დახლისას.

ჩვენ, ბატონო პრეზიდენტო, ქართველები ვართ და არავისგან გვესწავლება სხვა ერის შვილთა უფლებების პატივისცემა. დიახ, ყველა ერს აქვს თვითგანსაზღვრის (და არა თვითგამორკვევის, რაც გერმანულიდან უხეიროდ ნათარგმნი «Самоопределени»-ეში იგულისხმება), უფლება, ყველა ეროვნულ უმცირესობას აქვს კულტურული ავტონომიის უფლება, მაგრამ სხვის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს არ გააჩნიათ ტერიტორიული ავტონომიის უფლება.

ეს ძალიან კარგად იცოდნენ იმ ბოლშევიკმა ბელადებმაც, რომელთა მითითებითაც შეკოწიწდა რუსეთის მიერ საქართველოს ხელახლა დაპყრობისთანავე არარსებული „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი, რადგან ველიკორუსული შოვინიზმით გაჟღენთილი იმ დერჟიმორდების შორსგამიზნული გეგმით, შიდა ქართლის, ამ ძირძველი ქართული მიწა-წყლის, იქ იმჟამად უმნიშვნელო რაოდენობით მცხოვრები ოსთათვის დაკანონებით, ამ ახალ გამომცხვარი „ავტონომიური ოლქის“ მეხუთე კოლონიად გამოყენება იყო ნავარაუდევი და აკი ნაწილობრივ გაამართლა კიდეც ამ მზაკვრობამ. ვამბობთ, ნაწილობრივ, რადგან საქართველოში მცხოვრები ოსთა უდიდესი ნაწილი ქართველი ერის მხარეზეა და მთლიანად უჭერს მხარს ჩვენს მისწრაფებას სრული დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

ბატონო პრეზიდენტო, ამასთან ერთად საჭიროდ მიგვაჩნია გაცნობოთ ისიც, რომ ჩვენ ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას თქვენი ბრძანებულების შეჩერების თაობაზე და ბოლომდე დავრჩებით მისი ერთგული.

ვითვალისწინებთ რა თქვენი 7 იანვრის ბრძანებულების უაღრესად საშიშ ხასიათს, ვგმობთ რა თქვენს უხეშ ჩარევას საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეში, კატეგორიულად მოვითხოვთ:

1. დაუყოვნებლივ გააუქმოთ 1991 წლის 7 იანვრის თქვენს მიერ ხელმოწერილი ბრძანებულება.

2. უბრძანოთ თქვენს ჯარებს დაბრუნდნენ ყაზარმებში და საშუალება მისცენ ქართულ მილიციას წესრიგი აღადგინოს შიდა ქართლში.

3. სსრკ ყველა ოფიციალურ დოკუმენტში საქართველოს სახელმწიფო მოხსენიებულ იქნეს მხოლოდ როგორც საქართველოს რესპუბლიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი ზუგდიდის მოსახლეობა, რომელიც 150.000 კაცს შეადგენს, მიმართავს პროტესტის მშვიდობიან, მაგრამ უკიდურეს ზომებს.

## თეატრის შინაგანი მაგია

14 იანვარს ქართველმა ხალხმა თავისი ერთერთი ლამაზი, ტრადიციული ზეიმი—ქართული თეატრის დღე აღნიშნა. ბუნებრივია, ბევრის მნახველი ზუგდიდელი მაყურებელიც არ დარჩენილა გულგრილი ამ თარიღისადმი. იგი ჩვეული ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს იმ არაცალსახა, რთულ და მრავალფეროვან პერიპეტიებს, რითაც ეს ბოლო წელი ცხოვრობდა ქართული თეატრი. ამ ინტერესს ერთიორად ზრდიდა ის მძაფრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რაც მთლიანად მსჭვალავდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს. შესაძლოა თეატრს როგორც მთავრობის, ისე ჩვენი საზოგადოების მხრიდანაც აკლდა კუთვნილი ყურადღება, მაგრამ შინაგანად, ქვეშეცნეულად თეატრისა და მაყურებლის ერთიანობა არ დარღვეულა. ჩვენმა თეატრალურმა კოლექტივმა ხელები როდი ჩამოყარა მის წინაშე ამ ბოლო ხანს თავჩენილი დამაღონებელი მატერიალური, თუ შემოქმედებითი სიძნელეების წინაშე. დაიდგა რამდენიმე ახალი სპექტაკლი, რომლებშიც ხელშესახებად გამოიკვეთა როგორც დამდგმელი რეჟისორის, ისე მხატვრის, მუსიკოსის, მსახიობების მონდომება ახლებური საშემსრულებლო სტილისა და ხერხების ძიებისათვის.

როგორი რეალობაც არ უნდა გვიბოძოს განგებამ, ერთი რამ ცხადია: ქართული თეატრის გაძლიერება—აღზევების გარეშე ქართველი მაყურებლის ცნობიერების ამაღლება, მისი სულიერი გაკეთილშობილება არ შედგება. ისიც ნათელია, რომ მხოლოდ შიშველი ენთუზიაზმით ეს არ მოხდება. წინამორბედ ხელისუფალთაგან არაერთგზის მოტყუებული თეატრები ამ ახალ დროში, ჭეშმარიტი დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების ხანაში ზრუნვის ეპიცენტრში უნდა მოექცნენ, პრაქტიკული ხელის შეშველება სჭირდება ჩვენი თეატრის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ბოლოს და ბოლოს უნდა მოევლოს მათ ანაზღაურებას, რაც ასე კატასტროფულ დონემდეა დასული. უნდა გადაიჭრას თეატრის მუშაკთა ყოფითი პრობლემები, რათა შემოქმედ კაცს გაუჩნდეს რეალური სტიმული მაქსიმალური თვითდახარჯვისათვის. თუმცა ზუგდიდელი მსახიობების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სადღეისო მინიმალური სტიმულითაც გარკვეული დონის ნამუშევრები წარმოადგინეს. დამსწრეთა მოწონება ხვდა მათ ბოლო ორ სპექტაკლს, რომელიც განახორციელეს რეჟისორებმა ნოდარ დეისაძემ და იგორ საბომ.

ვულოცავთ რა ტრადიციულ ზეიმს, მშობლიური თეატრის კოლექტივს ამას ვუსურვებდით: ღირსეულად გადაელახოს ყველა წინაღობა და კვლავაც ეჩუქებინოს ჩვენთვის მათი თვალით დანახული ცხოვრება. ჩვენი ყოფა ყველა თავისი კოლიზიებით, იმედისა, თუ უიმედობის შუქ-ჩრდილებით, მაგრამ მაინც საინტერესო და ახლობელი თავისი შინაგანი მშვენიერებით, იდუმალებით.

## ბატონო პრეზიდენტო!

სწორედ რომ აღმაშფოთებელია თქვენი 7 იანვრის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის მიმართ. ნუთუ ეს არის თქვენი, გარდაქმნის ინიციატორის, დემოკრატიის ხელშემწყობის „საშობაო საჩუქარი“, ქართველი ხალხისადმი. ამ დადგენილებით თქვენ აშკარად ჩამოიხსენით ნიღაბი, რუსეთის იმპერიამ თავისი ნამდვილი სახე გაიშიშვლა.

ეს ანტიკონსტიტუციური, ანტიჰუმანური დადგენილება იგნორირებაა ჩვენი ეროვნული ინტერესების, თითქოს ზემოდან ნაბოძები „დემოკრატიისა“.

იმედია, ამ აქტით საკმაო ჩრდილი მიადგება ნობელის პრემიის ლაურეატს, ნუთუ ეს არაფერს ნიშნავს, ან არ დაგაფიქრებთ?

თუმცა იქ, სადაც ძალადობა იმარჯვებს, მსგავსი შეგონებები ალბათ უშედეგოა. ჩვენ მაინც გვჯერა, რომ გონიერება ერთ დროს მაინც გაიმარჯვებს, რადგან დიადი მსაჯული ყველას თავის დამსახურებისამებრ განიკითხავს.

№ 1 აფთიაქის თანამშრომელთა კოლექტივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მივაშველოთ ხელი მშენებლებს!

გარდამავალი პერიოდი სახალხო მეურნეობის მუშაკების უნარს და კომპეტენტურობას უმკაცრეს გამოცდას უწყობს. რასაკვირველია, არც მშენებლებს ექნებათ იოლი ცხოვრება. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შესძლებენ ისინი მშენებლობის ორგანიზაციის სრულყოფას, საფინანსო-ეკონომიკური ბერკეტების ეფექტურად მომარჯვებას. დღევანდელობა ხომ ახლებურ მიდგომებს, არასტანდარტულ გადაწყვეტებს ითხოვს.

კოლექტივის წინაშე მდგარ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე გვესაუბრება № 12 ტრესტის მესამე სამშენებლო სამმართველოს უფროსი თამაზ ჟიჟუა.

# რომ მას ნახელავს ფასი დაედოს

— პირველი შეკითხვა ალბათ გასული სამეურნეო წლის მონაცემებს უნდა შეეხოს. როგორ გაეცილეთ იგი?

— ძირითადი სამშენებლო მოცულობები მოდიოდა მედნაკეთობათა ქარხანაზე და ექვს საცხოვრებელ, მრავალბინიან სახლზე. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ოთხი სახლიდან მხოლოდ ერთის ჩაბარება მოხერხდა. მკითხველი უდაოდ გაოცდება, რა მოხდა? არ მინდა თავის მართლების ტრადიციულ ხერხს ჩავეჭიდო, მაგრამ სუბიექტურთან ერთად ობიექტური ფაქტორების არ აღნიშვნაც არ გამოვა. წლის დასაწყისიდანვე თავი იჩინა მშენებელთა წლობით მოუცილებელმა გასაჭირმა — კონსტრუქციებისა და მასალების ქრონიკულმა უკმარისობამ. ასევე არსებული რესურსების არარიტმულმა მოწოდებამ. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს ასეთ დროს მშენებლობაზე წარმოქმნილ პარადოქსულ სიტუაციას: წლის დაწყებისას ჩამოყალიბდა სამუშაო პროგრამა, ქაღალდზე ძალზე კოხტად დაფიქსირდა თითოეული ობიექტისთვის საჭირო რესურსები. განისაზღვრა კვალიფიციურ მშენებელთა აუცილებელი კონტინგენტი, გამოიკვეთა შემკვეთთან სახელშეკრულებო ვალდებულებები. ეს-ეს არის მუშაობა დადგენილი გრაფიკების მიხედვით იშლება და ამ დროს ზვავივით წამოიმართება პრობლემათა მთელი წყება. ეს მომენტი, რომელიც თითქოს მხოლოდ მატერიალურ ხასიათს ატარებს, გვევლინება მშენებელთა მთელი კოლექტივის განწყობილების გაფუჭების, უიმედობის მიზეზად. სოციალური ფაქტორის ჩავარდნით კი კოლექტივის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი ეცემა. მაგრამ მშენებლები სხვა სინჯის ხალხია. იოლად არ უტყდებათ გული. და ჩვენი სამმართველოს მუშათა და ინჟინერთა სახელით უნდა ითქვას, რომ თავჩენილი ხელისშემშლელი ბარიერების წინაშე თავი არ ჩაუქინდრიათ. სიძნელეებს მონდომებული მუშაობა და შიდა თუ გარე რესურსების ძიება და გამოყენება დაუპირისპირა.

გასულ წელს გეგმით 4709 ათასი მანეთის სამუშაოები უნდა შეგვესრულებინა. ეს დავალება დიდი გადაჭარბებით იქნა განაღდებული, როგორ და რა მანქანებით? იკითხავს მკითხველი. რესპუბლიკის მთავრობამ, გაითვალისწინა რა მთლიანად სამშენებლო კომპლექსის რთული საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა, გადაწყვიტა მშენებელთათვის შემოეღო სპეციალური საკომპენსაციო კოეფიციენტები. ამან კეთილისმყოფელი ბერკეტის ფუნქცია შეასრულა. მართალია, ფინანსურად მოვმაგრდით, მაგრამ ეს ხომ ერთი წუთითაც არ შველის უბინაო მოქალაქეების გასაჭირს, რომლებიც იმედის თვალით და გულაცრუებითაც ჩვენ შემოგვყურებენ? მშენებლები კი, მათ გაწბილებთ. გასულ წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადაგვეცა ხუთი სახლი. ფაქტიურად ჩაბარდა ერთი—42-ბინიანი სახლი. აქედან მკითხველი თვითონ გააკეთებს რეალურ დასკვნას: საერთო მოცულობის გეგმის შესრულება ვერაფერი ნუგეშია ბინის მომლოდინე ხალხისთვის.

— სიძნელეები გასაგებია. როგორ აპირებთ მათ გადალახვას მიმდინარე წლისთვის?

— ის ფაქტი, რომ წლეულს რადიკალური ღონისძიებები გატარდება მართვის სტრუქტურების სრულყოფისათვის, სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვისათვის, მშენებელთათვის მნიშვნელოვან სტიმულად გვესახება. მაგრამ თვითდაფინანსებას მაშინ აქვს ფასი, თუ ხალხი კმაყოფილია. ამიტომ მთელი ძალისხმევა და აქცენტი გადატანილი იქნება სამუშაო პროგრამის უცილობელ შესრულებაზე. ამიტომ საჭიროა № 4 რკინა-ბეტონის ქარხნამ ორი მეს ამედით მაინც აითვისოს საპროექტო სიმძლავრეები. ხოლო რაც შეეხება დანარჩენ სამშენებლო მასალებს, № 12 ტრესტის ხელმძღვანელობა მხარში გვიდგას და გიმედოვნებთ, ამ მხრივ არაფერი გაგვიჭირდება. აქვე მინდა წმინდა სუბიექტური აზრი გამოვთქვა, და მე მგონი მთელი კოლექტივიც ასე ფიქრობს, რომ რესპუბლიკის ახალი მთავრობა მშენებლების მიმართ გამოიჩენს საგნობრივ ზრუნვას, რათა ჩვენი მრევლი პრაქტიკულად დარწმუნდეს სამშენებლო კომპლექსის პერსპექტიულობაში.

ამის საწინდარია მათ მიერ ამ მოკლე პერიოდში გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები.

საუბრის დასასრულს მინდა ერთ ასეთ მტკივნეულ საკითხზე მივაპყრო ქალაქის საზოგადოებრიობის ყურადღება: სამშენებლო პოლიგონზე, საქმიან ეზოში სხვადასხვა სახის სამშენებლო მექანიზმები, კონსტრუქციები, მასალები იყრის თავს. ეს ის მატერიალური ბაზაა, რაზედაც ორგანულად არის დამოკიდებული თითოეულ ობიექტზე სამუშაოების ციკლის ნორმალურად ჩატარება, ყოველი მშენებლის ეფექტური საქმიანობა. და რაოდენ დამაღონებელია, რომ ამ ტექნიკას ასე ბარბაროსულად ექცევიან თვით ზუგდიდელები. ხშირია გარედან ქურდულად შემოღწევის და ტექნიკური საშუალებების გაძარცვის შემთხვევები. საოცარია, ნუთუ ასე ნწირია ცალკეულ [illegible]თა შეგნება, რომ ასეთ საძრახი მოქმედებისაგან ხელი წასცდეთ? ისედაც მძიმე პირობებში მყოფ მშენებლებს, რომლებიც ახალი საქართველოს საკეთილდღეოდ ძალ-ღონეს არ იშურებენ, მხარდაჭერა სჭირდებათ და არა ზურგში მახვილის ჩაცემა.

დავფიქრდეთ ამაზე, პატივცემულო თანაქალაქელებო!

## სოფლის კეთილდღეობისათვის

სოფელ შამგონის ნაფაატის უბანში 88 კომლი ცხოვრობს. აქედან შრომისუნარიანია 74 კომლეური, რომელთაც წელს 200 ათასი მანეთის შემოსავალი შემოტეს სოფელს. უბნიდან 51 მოსწავლე დადის არასრულ საშუალო სკოლაში. ამავე უბანშია კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმა, ქვა-ღორღის კოოპერატიული საწარმო რომელთაც უკავიათ უზარმაზარი სახნავ-სათესი ფართობი.

თითქოს ღონიერი უნდა იყოს უბანი, მაგრამ სინამდვილეში კი პირიქითაა.

უბნის მშრომელთა უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტიც, რომ უბანში არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურების არცერთი ობიექტი.

სწორედ ამ საკითხებზე გაიმართა მსჯელობა ნაფაატის უბნის მშრომელთა საერთო კრებაზე. მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა რკინიგზაზე მიწისქვეშა გადასასვლელის გაყვანის აუცილებლობაზე, აგრეთვე მიწისქვეშა გვირაბისა და გზის მოასფალტების საკითხზე. აღნიშნულის მოგვარებაზე ისაუბრეს: ა. გაბედავამ, სკოლის დირექტორმა ი. შარიამ, სასწავლო ნაწილის გამგემ ბ. ჩიქხვამ. მშრომელთა მოთხოვნაა, ქვა-ღორღის საწარმომ გადაუხადოს უბნის მშრომელებს მიწის საფასური, რასაც რკინიგზაზე მიწისქვეშა გადასასვლელის, საავტომობილო გზის, საბავშვო ბაღისა და სკოლის ახალი ნაგებობის აშენების სამუშაოებს მოახმარდება.

ამ ღონისძიებების გატარება სიტყვით გამოსულებმა ვ. გაბედავამ, ო. აქუბარდიამ, ა. ყალიჩავამ და სხვებმა იმ აუცილებლობით ახსნეს, რომ რკინიგზაზე ყოველდღე გადასვლა უხდებათ მოსწავლეებსა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, რაც მათი სიცოცხლისათვის საშიშია. გადასასვლელზე დღემდე დაიღუპა რამდენიმე კაცი.

ამიერკავკასიის სამტრედიის რკინიგზის მშენებლობის გვირაბის მშენებელთა უფროსმა გ. ცატავამ აღუთქვა უბნის მშრომელებს, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა უბნის მშრომელთა მოთხოვნა რკინიგზის გადასასვლელზე გვირაბის გაყვანის შესახებ დააყენოს სათანადო პრინციპულობით ზემდგომი ორგანოების წინაშე და დაკმაყოფილდეს უმოკლეს ვადაში.

კრებამ მიიღო ერთსულოვანი დადგენილება უბნის მშრომელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებლად.

ა. ლურწკაია.

## მივხედოთ, გამოვცვალოთ

ამ რამდენიმე წლის წინ კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიკვანძის ეზო (მერაბ კოსტავას ქუჩის მხარეს) ორიგინალური კონსტრუქციის, უჟანგავი მეტალისგან გაკეთებული ღობით იქნა შემორაგული. ამ სიახლემ დაამშვენა ქალაქი. უფრო მეტიც, მცირე არქიტექტურული ფორმით გადაწყვეტილ ამ ღობეს სხვა პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს—იგი იმავდროულად გამოიყენება როგორც სტენდი.

თავის დროზე ეს ღობე-სტენდი კეთილმოეწყო და ფოტოსლაიდებიც გამოიფინა. ფოტოებზე აღბეჭდილნი არიან ქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდები სწავლისა თუ შრომის პროცესში. ფოტოებისა და ტექსტუალური მასალის მიხედვით საუბარია იმაზე, რომ ქალაქის მუშათა კლასს ღირსეული ცვლა ეზრდება, რომ ზუგდიდელი ახალგაზრდების ჯგუფი სპეციალობას ეუფლება რუსეთში—იზნინსკსა და ყოლტიევოლში და ა. შ. [illegible] სიტყვით, სტენდიდან ყაველგასული პათოსი და ი. წ. უძრაობის წლების „[illegible]რული ჰეროიკა" შემოგვცქერის.

დღეს ვის ჭირდება ასეთი „ჰეროიკა", ან ასეთი ფოტოსტენდი? არავის, ამიტომაც დროა ფოტოსურათები მოვაცილოთ იქაურობას. სხვა რომ არაფერი, იმ ფოტოებზე გამოსახული გოგო-ბიჭები ახლა ასაკოვანი, გათხოვილ-დაოჯახებულნი იქნებიან და უხერხულია.

მ. მოსია.

### გვამცნობენ უცხოეთის რადიოსადგურები

## ბრალს დებენ ყოფილ მინისტრს

„გერმანული ტალღა" გადმოსცემს ევროპის თანასაზოგადოების კომისიის ექსპერტების ცნობას საბჭოთა კავშირში შექმნილი სიტუაციის შესახებ. ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა კავშირისათვის დახმარება უაზრობაა მანამ, სანამ არ მოხდება ეკონომიკური გარდაქმნები ბაზრის მიმართულებით და არ ჩამოყალიბდება ეროვნული ნდობის მთავრობა.

* * *

„რადიო თავისუფლება" თავის მხრივ აუწყებს მსმენელებს იმის თაობაზე, რომ მსოფლიო ებრაელთა კონგრესზე გამოსვლისას საბჭოთა ელჩმა ვაშინგტონში შემდეგი განაცხადა: შევარდნაძის გადადგომა არამც და არამც არ გამოიწვევს ებრაელთა ემიგრაციის შემცირებას და საბჭოთა პოლიტიკის შეცვლას სპარსეთის ყურეში. და ეს იმიტომ, რომ აღნიშნულ საკითხებს პირადად საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი წყვეტს.

* * *

ბი-ბი-სის პეკინელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ქვეყნის საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის ყოფილ მინისტრს ხელისუფლება ადანაშაულებს შარშანდელ ზაფხულში დემოკრატიული ძალების მიერ მოწყობილი გამოსვლების ჩახშობისას დაშვებული შეცდომებისათვის. ბრალს დებენ იმაშიც, რომ მრავალმა დისიდენტმა მოახერხა საზღვარგარეთ გაქცევა.

## დამოუკიდებლობა პასუხისმგებლობას მოითხოვს

„საქმშენმასალები"—ასე ეწოდება სამეურნეო ასოციაციას, რომელიც რეგისტრირებულია რესპუბლიკაში. მასში შევიდა 34 სამრეწველო საწარმო, გაერთიანება და ორგანიზაცია, რომლებიც წინათ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქმრეწვმშენმასალებს" ეკუთვნოდა.

ასოციაციის წინაშეა პრობლემათა საკმაოდ მძიმე ტვირთი, რომლებიც სასწრაფოდ მოითხოვენ გადაწყვეტას.

—უწინარეს ყოვლისა, ვფიქრობთ წესრიგში მოვიყვანოთ საფინანსო საქმე. დღეისათვის ასეთი მდგომარეობაა: მომხმარებლისაგან ჩვენ გვეკუთვნის 30 მილიონ მანეთზე მეტი, ჩვენი მხრიდან კი მათ—40 მილიონამდე მანეთი. მაგრამ ასეთი მდგომარეობა როდი გვაშინებს. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ჩვენ შევწყვეტთ გადახდისუუნარო მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებას. გარდა ამისა, გარკვეულ დროს მივმართავთ ბარტერულ გარიგებებსაც, ვთქვათ, დღეისათვის არა გვაქვს ფული გაზისათვის ან სათბობისათვის, მაშინ ჩვენ მათ შევთავაზებთ ყველასათვის საჭირო აგურს.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნუ ოდეს დამივიწყებთ დავით"

ეს სიტყვები მეთორმეტე საუკუნის პირველი მეოთხედის უდიდეს ქართველ მოაზროვნეს და პოლიტიკურ მოღვაწეს დავით მეოთხე აღმაშენებელს ეკუთვნის, რომელსაც 8 იანვარს, მისი ხსენების დღეს, დიდი სიყვარულით იხსენიებს ქართველი ხალხი.

დავითი სამეფო ტახტზე ავიდა 1089 წელს. 16 წლის დავითს მამამ — გიორგი მეორემ დაადგა გვირგვინი.

დავით აღმაშენებლის, ამ ძლიერი გონებითა და რკინისებური ნებისყოფით დაჯილდოებული ადამიანის დამსახურება ქართველი ერის წინაშე განუზომელია. დავით მეფეს ქართველმა ხალხმა აღმაშენებელი უწოდა. ამ ერთი სიტყვით ხალხმა აღნიშნა ის დამსახურება, რაც დავით მეფეს ქართული სახელმწიფოებრიობის შენებასა და ქართული კულტური განვითარებაში მიუძღვის.

დავითმა მემკვიდრეობით მძიმე ტვირთი მიიღო: სამეფოს საქმეები — აწეწილ-დაწეწილი, ქვეყანა კი თურქების თარეშისაგან მოქანცული. დავითის ღონისძიებები ორი მიმართულებით წარიმართა: თურქ-სელჩუკების განდევნა საქართველოს ტერიტორიიდან და ქვეყნის საშინაო საქმეების წინამძღოლობა. დავითის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანი იყო საერო და სასულიერო ხელისუფლების გაერთიანება. მან შექმნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ინსტიტუტი. დავითმა ორივე ეს თანამდებობა ერთ მთლიანობაში ჩააბარა გიორგი ჭყონდიდელს. ამ ღონისძიების მნიშვნელობა დიდი იყო ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის. დავითმა სამხედრო რეფორმაც გაატარა, რომლის მიზანიც ლაშქრის რეორგანიზაცია და საქართველოს ძლიერების გაზრდა იყო.

დავითის ბრწყინვალე სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის შედეგი იყო 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე 800 ათასიანი თურქ-სელჩუკთა კოალიციური არმიის განადგურება 56 ათასიანი ლაშქრით. „ძლევაი საკვირველი" უწოდა დავითის ისტორიკოსმა დიდგორის ველზე მოპოვებულ გამარჯვებას.

1122 წელს დავითმა იერიში მიიტანა თბილისზე და ქართველი ისტორიკოსის გადმოცემით „აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა ოთხას წელქონებულ სპარსთა, და დაუმკვიდრეს შვილთა მისთა". იგი დაეხმარა ამიერკავკასიის ხალხებს მოსისხლე მტრების განადგურებაში. დავითმა შექმნა დიდი სახელმწიფო ნიკოფსიიდან დარუბანდამდის და ჩრდილოეთ ოსეთიდან არეგწამდის. დავითი მშენებლობისა და კულტურის სწორუპოვარი ქომაგი იყო. მისი კულტურული ღონისძიებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გელათის ხუროთმოძღვრული კომპლექსის მშენებლობა და იქ აკადემიის დაარსება.

„ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს" — აღსრულდა ქართველი მეფის ეს სიტყვები: ერმა და ისტორიამ უკვდავყო დიდებული მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებლის და აღმაშენებლის, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების შემქმნელის, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი.

ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჰხარის მას, ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს.

მ. შამათავა,
ხალისოფლის საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლე.

---

წერილი რედაქციას

# ასეთი უპასუხისმგებლობა გაგონილა?

ცენტრალური მოედნიდან თაბუკაშვილის ქუჩის (ყოფილი მარქსის ქუჩა) გავლით რომელიღაც სამშენებლო ორგანიზაცია იჯარული წესით აწარმოებს მიწის გათხრებს და მათში აწყობენ მილებს. ეს ნამდვილად კარგი და მისასალმებელი საქმეა. რა სჯობია იმას, თუ მოსახლეობა შეუფერხებლად მიიღებს სასმელ წყალს, მაგრამ წყალგაყვანილობა მოვიყვანოთ წესრიგში და გაკეთებული დავაზიანოთ, ამის უფლება ვინ მოგვცა. ერთის გაკეთება არ უნდა ხდებოდეს საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესების ხარჯზე.

როცა მშენებლებმა წყალსადენის მილების ჩასაწყობად მიწის გათხრა დაიწყეს, კავშირგაბმულობის მუშაკები მოვიდნენ და გააფრთხილეს ფრთხილად მოქცეოდნენ იმ ადგილს, სადაც ტელეფონის მიწისქვეშა კაბელები გადიოდა. თანაც ერთხელ კი არა ორჯერ იყვნენ ისინი მშენებლებთან ამის თაობაზე. პირადად მეც გავაფრთხილე მშენებლები, ზუსტად მივუთითე იმ ადგილზე, სადაც საკაბელო მაგისტრალი გადიოდა. მაგრამ ეს გაფრთხილება ყურად არ იღეს მათ. დაუდევრად, სრულიად უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ მინდობილ საქმეს. წყლის მილების ჩადებისას გაგლიჯეს მიწისქვეშა კაბელი, დააზიანეს მოქალაქე გოგოხიას ეზოდან გამომავალი ფეკალური წყლის მილი. ასე რომ კოლხეთისა და თაბუკაშვილის ქუჩის მცხოვრებთა 18 ოჯახი დაგვტოვეს ტელეფონის გარეშე და მის აღდგენაზე არავინ ზომებს არ იღებს. ამ შემთხვევიდან ერთ კვირაზე მეტი გავიდა, მაგრამ ყურსაც არავინ იბერტყავს.

ორგანიზაცია, რომელმაც ხაზი დააზიანა, საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 458 მუხლის ძალით მოვალეა აანაზღაუროს ზარალი, რომელიც მიყენებულია მისი მუშაკის ბრალით, როცა მუშაკი თავის შრომით (სამსახურებრივ) მოვალეობას ასრულებდა, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის №227 პრიმა მუხლის ძალით კონკრეტულად დამნაშავე პირმა, რომელმაც ხაზი დააზიანა პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის წესით.

საინტერესოა, აპირებს თუ არა სამშენებლო ორგანიზაცია ჩვენი ტელეფონის ხაზების აღდგენას და როდისთვის?

შ. დანელია,
ომისა და შრომის ვეტერანი.

---

რეპლიკა

# მგზავრთა აბუჩად აგდება თუ...

— უპასუხისმგებლობა? — ასეთი სათაურით რედაქციაში გამოგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერენ ავტობუსის მომლოდინე მგზავრები გკითხულობთ:

— ზუგდიდი-დანდრა (აეროპორტის საავტომობილო რეისი), ხელმისაწვდომია თუ იგი რეგულარულად იმოძრავებს, მაგრამ სასტუმრო „ოდიშის" პირველი სართულის სალაროებში შეძენილი ბილეთები მეორე დღეს ისევ სალაროში დასაბრუნებელი მოგვიხდა. მოლარეები სწუხან და საყვედურს გამოთქვამენ სამგზავრო ავტოსადგურის მუშაკების მიმართ. 2 იანვარს ავტობუსი დანიშნულ ადგილზე არ მოვიდა. მგზავრებმა ხელი ჩავიქნიეთ და ძვირად ღირებული კერძო მანქანებით გავემგზავრეთ დანიშნულების ადგილისკენ.

---

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის წინ

# მცირე საწარმოები — დიდი იმედები

თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების მცირე მექანიზაციის განყოფილებისა და საამქროს ბაზაზე შეიქმნა არასტანდარტული მოწყობილობის მცირე საწარმო. იგი სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე იმუშავებს და იურიდიული პირის უფლებები ექნება.

— ჩვენმა კოლექტივმა მცირე სიმძლავრის საწარმოების შექმნის კურსი აიღო, — უთხრა საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს" კორესპონდენტს გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ბანტიკო თორდიამ — ეკონომიკური სამსახურის გამოანგარიშებით, ისინი საბაზრო პირობებში მუშაობისას მნიშვნელოვნად მეტ სარგებლობას მოიტანენ.

მცირე საწარმოთა შექმნას საფუძვლად ამერიკული სისტემა დაედო. უცხოეთის საინფორმაციო საშუალებათა მონაცემებით ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული პროდუქციის 80 პროცენტს მცირე საწარმოები იძლევიან.

თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანებაში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ახალი საწარმოები ხელს შეუწყობენ ფართო მოთხოვნილების საქონლის გამოშვების მნიშვნელოვნად გადიდებას. გაერთიანების პირველი მცირე საწარმოს წარმომადგენელთა დამფუძნებელ კრებაზე დაამტკიცეს დებულება, რომელიც მეწარმეობის სრულ თავისუფლებას ითვალისწინებს, წარმოების მუშაკებს უფლება ეძლევათ თავიანთი შეხედულებისამებრ განაგონ გამოშვებული პროდუქცია, მოგება.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო".

---

# აკაკი და გრიგოლ დადიანი

აკაკის საიუბილეო დღეებში გვინდა მკითხველს მივაწოდოთ ზოგი რამ გრიგოლ ლევანის ძე დადიანთან („კოლხიდელთან") მისი ურთიერთობის შესახებ.

როგორც ცნობილია, გრიგოლ დადიანი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდანვე ქართულ პოეზიაში გამოჩნდა უმთავრესად „კოლხიდელის" ფსევდონიმით. ჯერ კიდევ 22 წლისამ დაწერა საყურადღებო პოემა „რუხის ბრძოლა" (1836 წ.). გრიგოლის ლექსები იბეჭდებოდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში. 1901 წელს, მის სიცოცხლეში, პოემა და 70-ზე მეტი ლექსი ცალკე წიგნად იყო გამოცემული.

აკაკი წერეთელი, რა თქმა უნდა, კარგად იცნობდა „კოლხიდელს". უფრო მეტიც, მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ეს თუნდაც იქიდანაც ჩანს, რომ აკაკი გასცნობია გრიგოლ დადიანის მდიდარ ბიბლიოთეკას ქუთაისში, სადაც 1870-იანი წლებიდან ცხოვრობდა „კოლხიდელი".

ამას მოწმობს 1902 წლის გაზეთ „ივერიის" ცნობაც, იმის შესახებ, რომ აკაკი გრიგოლ დადიანთან უნახავს სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა ქართულის" წინადროინდელი ლექსიკონი (ასეთი ლექსიკონის არსებობაზე თვითონ საბაც მიუთითებს, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა). დადიანის წიგნთსაცავში ამგვარ ლექსიკონზე „ივერიის" კორესპონდენტები უფრო ადრეც წერდნენ.

აკაკისთან „კოლხიდელის" ახლო ურთიერთობის გამომხატველია მისი ლექსი აკაკისადმი და აკაკის პასუხი. „კოლხიდელის" ლექსი შეეხება ძველისა და ახლის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს. გრიგოლი უარყოფითად აფასებს ძველისადმი უპატივცემლობას და მოითხოვს ახლისა და ძველის — „ამ ორთა ტკბილად სიტყვიერებას".

მოგვყავს რამდენიმე სტროფი „კოლხიდელის" ლექსიდან „აკაკის" (დადიანის ვრცელ ლექსს დაინტერესებული მკითხველი ჩვენს მუზეუმში გაეცნობა).

„ძველს რომ ახალი არ ეკარება
ნეტამც ვიცოდე, რას ემართლება?
ახლისგან ძველის შეურაცხება,
მე ვგონებ, ახალს არ ეკადრება.
ძველია არსი, ახლის მაარსი,
მზრდელი ახლისა წარმომჩენელი,
თუ არა ძველი რა არს ახალი
ვინ მისცა ახალს ენამეტყველი?
ძველი, ახალი ჯერ-არს რომ იყოს
განუკვეთელად, ერთად
ერთგვარად,
მაშინ იქნება ცნობა და ცოდნა
ახპარესზედა მდგარი თამამად.
ძველისგან ახლის მართ
სიყვარული,
ახლისგან ძველის პატივისცემა
ამ ორთა ტკბილად
სიტყვიერება —
არს მამულისა სიცოცხლის კმევა
და ბოლოს —
ერთა ულოს ქვეშ ესენი ორნი
საზოგადოსა ყანას ეყოფა"...

„კოლხიდელის" ლექსს აკაკიმ ლექსითვე უპასუხა (1875 წ.) და თვითონაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ „თუ საფუძველი კარგია ძველი", მას წუნი არ დაედება და ასეთ საფუძველზე კიდევაც უნდა ავაგოთ „საშვილიშვილო წმინდა ტაძარი", მაგრამ რა საჭირო იყო ამის მოძღვრება, როცა ეს მისთვის ცნობილია. თუმცა ბრძნულთ უწოდა გრიგოლის ლექსს აკაკიმ, მაგრამ ისიც მწვავედ, თანაც შეგობრულ ფორმებში აგრძნობინა „კოლხიდელს" რომ ლექსში გამოთქმული ნაწყენობანი ძველის შეუფასებლობაზე ამ ლექსის ადრესატს არ შეეხებოდა.

მოგვყავს აკაკის ლექსი სრულად.

„კოლხიდელს!".

მებოძა თქვენი ბრძნული წერილი
მაგრამ პირადად მე არ მეხება:
გაურჩეველად ხნოვანებისა,
კარგის ყოველთვის მჩვევია ქება!
თუ საფუძველი კარგია ძველი,
წუნს როგორ დასდებ
ხუროთმოძღვარი?
ეცდება კიდეც, რომ ზედ ააგოს
საშვილიშვილო წმინდა ტაძარი!...
თუ ეს არ მესმის, რაღა მშვენის?
რა საჭიროა ამის მოძღვრება?!
მთვარე მაშინაც კიდევ ანათებს,
როცა ილევა, ნელ-ნელა ცხრება.
მათუსალადაც რომ გადაიქცეს
მეტის სიბერით აწ „კოლხიდელი",
მაინც დარჩება კიდევ იმასში
ოჯახიშვილი... ძველი ქართველი.
ვისთანაც მისვლა და ვისიც ნახვა
სულით და გულით მე მენატრება!..
მაგრამ ერთი რამ გარემოება
წინ მეღობება და მეფარება:
არ ვიცი, როგორ უნდა ვეახლო:
როგორც მორჩილი? თუ ამხანაგი?
როგორც დადიანს წერეთელი? თუ
როგორც „კოლხიდელს" მხოლოდ
აკაკი.

ამ ლექსიდან მკითხველი თვითონ გააკეთებს დასკვნას თუ როგორ აფასებდა აკაკი გრიგოლ დადიანს.

მკითხველთ შევნიშნავდა, რომ აკაკის ლექსში ნახსენებია მათუსალა. როგორც ჩანს, აკაკის ამ შემთხვევაში ნაგულისხმევი აქვს ბიბლიური „მათუსალ" რომელმაც იცოცხლა ყოველ კაცზე დიდხანს — 969 წელი.

მამანტი პაპავა,
ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი.

საქალაქო საბჭოს აღმასკომში

# ვიმოქმედოთ სრული შეგნებით

ცნობილია, რომ რესპუბლიკაში ელექტროენერგიის დეფიციტია. ყველა რეგიონს, მათ შორის ქ. ზუგდიდს ეძლევა ელექტროენერგიის საჭირო მინიმუმი პიკის საათებში 17-დან 20 საათამდე, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული აუცილებელი სასიცოცხლო ობიექტებისათვის (საავადმყოფოები, ბანკები, შემნახველი სალაროები, ადმინისტრაციული ორგანოები, სახელმწიფო დაწესებულებები, მუზეუმი, სახანძრო და ა. შ.). ვინაიდან დასახელებული ობიექტები ძირითადად განლაგებულია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ელექტროენერგიით მარაგდებოდა ეს ზონა. ამასთანავე ენერგია მიეწოდებოდა იმ ქუჩებს, რომლებიც სარგებლობდნენ აღნიშნული ობიექტების ელექტროენერგიის წყაროებიდან.

მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა არასწორად გაიგო შექმნილი მდგომარეობა და ელქსელების დირექციისაგან მოითხოვა პიკის საათებში სხვა ქუჩების განათებაც. ამის შესაძლებლობის არ არსებობის გამო მათ მუქარით აიძულეს დირექციის თანამშრომლები გამოერთოთ მთლიანად ქალაქი.

პიკის საათებში ელექტროენერგიის მთლიანად გამორთვის შედეგად ქალაქში უკანასკნელ დღეებში ადგილი ჰქონდა მუზეუმის, მსხვილი სავაჭრო ობიექტების, შემნახველი სალაროების გაქურდვის მცდელობებს. ხოლო საავადმყოფოებში იყო სასწრაფო ოპერაციების გადადების ფაქტები. სერიოზული პრობლემები შეექმნა ადმინისტრაციულ ორგანოებსაც, მითუმეტეს, როცა მათი გარკვეული ნაწილი მონაწილეობს სამაჩაბლოში მდგომარეობის სტაბილიზაციის ღონისძიებებში.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა:

დაევალოს ქალაქის ელქსელების დირექციას (გ. ქითაშვილი) მაქსიმალურად დაიცვას ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკით გათვალისწინებული შეზღუდვები. არ დაუშვას ლიმიტების გადახარჯვა. ამასთან უზრუნველყოს პიკის საათებში—17-დან 20 საათამდე ქალაქის ცენტრის და სხვა სასიცოცხლო აუცილებელი ობიექტებისათვის ელექტროენერგიის მიწოდება.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი მოსახლეობის ყურადღებას მიაპყრობს შექმნილ გარემოებას. ამასთან, იმ პირების საქციელი, რომლებიც ხელს შეუშლიან დადგენილი წესის პრაქტიკულ განხორციელებას, შეფასდება, როგორც დამნაშავეობისადმი ხელშემწყობი მოქმედება.

შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონულმა განყოფილებამ (თ. ქირია), პიკის საათებში უზრუნველყოს წესრიგის დაცვა ელქსელების რეგიონალურ, საქალაქო და რაიონულ დირექციებსა და ქვესადგურებში. ამასთან უფრო გააქტიურონ ამ პერიოდში მუშაობა ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

სახალხო დეპუტატთა ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
**ა. იზორია.**

სახალხო დეპუტატთა ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი
**ლ. ქირია.**

ერთი პუბლიკაციის გამო

# აუცილებელია გვქონდეს სტაციონარი

გაზეთ „ოდიშის" 8 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაცია „ავადმყოფთა საკეთილდღეოდ", ეხება მეტად მტკივნეულ საკითხს—ფსიქიურ ავადმყოფებისათვის ადგილზე სტაციონალური საავადმყოფოს გახსნის საკითხს.

ძნელია იმის წარმოდგენა თუ რა ტკივილები აქვს სულით ავადმყოფებსა და მათ ჭირისუფალს. სულის ტკივილი ყველა ტკივილზე მწარეაო—ამბობენ ფსიქიატრები და მეც ამაში დარწმუნებული მშობელი თხოვნით მივმართავ ყველას, ვისაც ეს ეხება. გაიხსნას ზუგდიდში ფსიქიატრიული საავადმყოფო, რათა მოგვეხსნას ქუთაისში თუ აფხაზეთში ავადმყოფთა ტარება.

ნურვინ დაიტრაბახებს ვის რა მოუვა. ჩემი შვილი, მათემატიკის დიდი ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტი მძიმე ავად გახდა. იგი წლების მანძილზე იმყოფება აფხაზეთის საავადმყოფოში.

დასმული საკითხის დადებითად გადაწყვეტა იქნება შველა ჩვენი და ჩვენსავით მრავალტანჯული სხვა ოჯახებისათვის.

შ. ვ.

იუმორი

# პოეტი

ერთხელ, ერთი პოეტის საპატივცემლოდ ბანკეტი მოაწყვეს. დახელოვნებულმა თამადამ, რა თქმა უნდა, პოეტის სადღეგრძელო პოეტურად წარმოსთქვა.

—თქვენ, —აღნიშნა,— ერთი ფეხით ჩვენ, ესე იგი, თანამედროვეობას რომ ეკუთვნით, მეორე ფეხი უკვდავებაში გაქვთ გადგმული. და მე ამ სამლიტრიანი ყანწით სწორედ უკვდავებაში გადგმული თქვენი ფეხის სადღეგრძელო მიწდა დავლიო! —ხატოვნად დაასრულა მან.

პოეტურად წარმოთქმულმა და ხატოვნად ჩახუჭუჭებულმა სადღეგრძელომ ბევრს აუჩქროლა გული. ერთმა ფიზიკურად ყველაზე პოეტურმა და თვალმოჭუჭუნე მანდილოსანმა, რომლის ერთ თბილ ღიმილს (პოეტის ცოდვაც გამხელილი სჯობია) თუნდაც ასი მუზის გულმხურვალე ალერსს დიდი სიამოვნებით ანაცვალებდა პოეტი, მას თავისი, ესე იგი, უკვდავებაში გადგმული ფეხის მაგიდაზე შემოდება სთხოვა—დაე, ყველამ თვალნათლივ იხილოს თქვენი უკვდავების დამადასტურებელი მოწმობაო!

მაგრამ, სამწუხაროდ, პოეტმა, რომელსაც ოდნავ უჭერდა ყელზე —სამამულო წარმოების ჰალსტუხი (მალიმალ შეახებდა ხოლმე ხელს- გასწევ-გამოსწევდა), ქალს და, მაშასადამე, თავისი მომდევნო ლექსის დაუოკებელ სტიმულს (ნიაღვარს, მეცხრე ტალღას, წარღვნას...), თხოვნა ვერ შეუსრულა.

ვერ შეუსრულა, რადგან, ფეხი რომ აეწია, გაცვეთილ-გახვრეტილი ლანჩი გამოუჩნდებოდა.

მურად ჭანტურია.

რედაქტორი
**აკ. ჭანტურია.**

კოოპერატიული ავტოსკოლა „მესაჭე" იღებს მსურველებს, მსუბუქი ავტომობილის მძღოლთა მოსამზადებლად. თეორიული მეცადინეობა მოეწყობა როგორც დღის, ასევე საღამოს საათებში, მეცადინეობის ხანგრძლივობა 1 5 თვეა.

პრაქტიკული სწავლება მოეწყობა მსმენელთათვის სასურველ დროს. ამასთანავე, პრაქტიკული სწავლების დროს მძღოლ-ინსტრუქტორი მსმენელს მიაკითხავს მის მიერ მითითებულ მისამართზე (ბინაზე ან სამსახურში).

თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიცირებული პედაგოგები და მძღოლ-ინსტრუქტორები მსუბუქი მარკის ავტომობილებით.

ავტოსკოლაში მიიღებიან ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის რაიონის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მესტიის რაიონების მცხოვრებლები.

ავტოსკოლაში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სამედიცინო ცნობა („ფსიქო") და სამი ცალი ფოტოსურათი 3X4, საბუთები მიიღება ყოველდღე 10 საათიდან 15 საათამდე.

სწავლის ქირის გადახდა შეიძლება, როგორც ნაღდ ანგარიშზე ასევე გადარიცხვით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. №2, პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობა, პირველი სართული, ოთახი 61.

ავტოსკოლა „მესაჭე".

ექიმი ნევროპათოლოგ-კოსმეტოლოგი ნინა ვლადიმერის ასული ოვრახი (კიევიდან) მაისამდე პაციენტებს ღებულობს შემდეგი მისამართით: პლეხანოვის ქუჩა №24, ყოველდღე (ორშაბათის გარდა) დილის 9 საათიდან 14 საათამდე (ბინაში სანიტნორმები დაცულია, საფინანსო განყოფილების მიერ დაბეგრილია).

ექიმი კურნავს თირკმლებს, ღვიძლს, ალერგიას, ფსორიაზს, ხსნის სხვადასხვა ხასიათის ტკივილებს, კურნავს და კონსულტაციას ატარებს სახის კანის დაავადებებზე.

შვილები: გაჯი, გერმანე. ჩუხა. ეთერი, რძლები: ნინა. პარასკევა ლაგვილავა, რაისა. ვენია. იამზე მესხია, შვილიშვილები: ბაკური. ლიანა. ნაზო. გულნაზი. როინი. ესართიები, კლარა, ნუგზარი. რევაზი გაბედავები, სიძეები: შოთა აქირთავა, ჯანიკო თორდია. ჯამბული ფარულავა. მაზლიშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ლიმონ (ანეტა) ესართია-შენგელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16 იანვარს. დაკრძალვა 17 იანვარს. ახალაბასთუმანში.

დედა ლეილა. მამა ნოდარი, ძმა ბუთხუზი. ბებიები: ლოლა. ხუტა. ბაბუა ისაკი კვარაცხელია, მამიდა ლუიზა. დეიდა ეთერი. ბიძები: რეზო. მურთაზი კიტიები ყორა ლუბელაძე. ბიცოლები: მზია ჰამფორია. ლუდა კიტია, მამიდაშვილები: ჯულიეტა. რომეო თოდუები. დეიდაშვილები: ელისო. ზვიადი. რამაზი. ელზა ლუბელაძეები. ბიძაშვილები: გიორგი. ვიქტორია კიტიები. შოთა. ხათუნა კვარაცხელიები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლესია ნოდარის ასულ კიჭიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17, 18, 20 იანვარს. დაკრძალვა 22 იანვარს 16 საათზე სოფელ ნარაზენში.

მეუღლე ოლია. შვილი ლუნა. სიძე გ-ბო ჯოლოხავა, შვილიშვილები: თამაზი. თინაზი. ნატო. რძალი იზო. სიძეები იურა კვარაცხელია, ბუთხუზი ხარჩილავა. დისშვილები, ძმისშვილები ცოლისძმისშვილები ოჯახებით და ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ძიკა ჯაუს ძე ყურწუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16 იანვარს. დაკრძალვა 17 იანვარს სოფელ ჯიხაშკარში.

ინგირის მომხმარებელთა საზოგადოების მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

**ლიზა ევგენის ასულ ჯინჯოლავა-ქარასანიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ზოია. შვილი მიშა. სიდედრი ლამარა. ცოლისძმა ბადრი ნარმანიები, ბიძაშვილები: იგორი. იუსტინე. ანზორი. მერი, კლარა. იზოლდა. ლენა. ივდითი. მზია. ქეთო საბეკიები. მამიდაშვილები: ჯუმბერი. ბონდო, ნათელა. ლენა. გული. მერი კიუტები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**თენგიზ აქვსენტის ძე საბეკიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16 იანვარს. დაკრძალვა 17 იანვარს, ქ. ზუგდიდში. გამოსვენება ჭავჭავაძის 7-დან 17 საათზე.

შვილები აპოლონი. ონერი. ჟილიკო. ბედიშა. ეთერი. ზაირა მებონიები. რძლები: ლიდა. ლუარა. ლენა. ნელი. სიძეები: ვრიშა აბაკელია, კუკური ტაბაღუა, ბოჩო. კოტე კვარაცხელიები, შვილიშვილები, შვილთაშვილები. ძმისშვილები, დისშვილები, მაზლიშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვანო ბებთუს ძე მებონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18, 19 იანვარს. დაკრძალვა 20 იანვარს სოფ. დიდინეძში, გამოსვენება 17 საათზე.

შვილები: ბაბუცა. ნაპო. ბონდო კალანდიები. ნათელა ხუბუა, შვილიშვილები: მაია. ბექანი. პაატა. სოსო კალანდიები. თემურ სათალანძე. რძლები: ეთერ ბახტაძე. ციალა თოდუა. მარინე კონჯარია, სიძეები: პლატონ სათალანძე. მახეიო დადიანი. ხუტა ალფენიძე. მული ვერა ჭურღულია. ახლო ნათესავებით იუწყებიან

**მარუსია (ვალია) სიკოს ასულ კვარაცხელია-კალანდიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16 იანვარს. დაკრძალვა 17 იანვარს 5 საათზე ს. დარჩელში.

შვილები: კამათი: ბუთხუზი ანთელავები. ყორა კვირტია. რძლები: ციციკო გეთია, ლეილა მაქაცარია, ლუიზა პერტია, ნანი როგავა, შვილიშვილები მანანა, მანონი. ზურაბი. ვალერი ანთელავები, შვილთაშვილები თამთა, თამრიკო აქუბარდიები, ანა, ალექსანდრე ანთელავები, ძმისშვილები ლიზო. მავრა. ლამარა. თ ლიკო შირინი. მებრძოლი. გერონტი შელიები. დისშვილები: ციალა ანთელავა, ლუბა, ნონია ზარანდიები, თაკუნა. ნოე. აპოლონი დგებუაძეები. მული მერი ანთელავა, მაზლიშვილები: ნათელა. დისო. მაია ანთელავები. მულიშვილები ბესიკი, მანუჩარი. დენისი ნიკა ლატარიები. სიძე ბადრი აქუბარდია, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ტატიანა (ვენერა) კირილეს ასულ შელია-ანთელავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18 იანვარს. დაკრძალვა 20 იანვარს სოფელ ჯიხაშკარში.

დედა ფენია, მეუღლე თამარა, შვილები: იამზე. რევაზი. ნატო. დები ნაზიკო. ალა. შვილიშვილები: რომანი, ირაკლი. თამუნა. თეონა. ზურიკო. რძლები: დალი ბიჭია. მიმოზა, დინარა, სიძეები: გურამ ქაძანაია. ნუკრი შონია. გული მალიჩავა. ომარ კვირტია. ცოლისძმა რეზო ესებუა. დეიდა ნუცა. დეიდაშვილი ვალია. მამიდაშვილები: ვახტანგი, ლადო ვაჩიბერაძეები. ტიშინკო, დისშვილები: ნუნუ. ნანი. ნინო. ქეთინო, ჯონი,. მაზლიშვილები. მეზობლები იუწყებიან

**ვაჟა (კუკური) შალვას ძე დარასელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17. 18 იანვარს. დაკრძალვა 20 იანვარს. გამოსვენება ზუგდიდი, საირმის ქ. 3.

შვილი ზაირა. სიძე ნოდარ ჯიქია. შვილიშვილი თეა. რძალი ეთერ ჩქოტუა, მაზლიშვილები: ვალია. ნუნუ. ალიოშა. გიგლა, სოსო ჩქოტუები, ძმისშვილები: მალინა ჟუჟუნა. ვარდო წითლიძეები, დისშვილები: ნონა კურდღელია, ელისო, ნინო პაპკორიები, სიძე დავით პაპკორია. მულიშვილები: გოგოლა, ციალა, რეზო აფაქიძეები. მეზობლები კლავა ჯიქია ახლო ნათესავებით იუწყებიან

**მარგო (გუგუ) ლევანის ასულ წითლიძე-ჩქოტუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16 იანვარს. დაკრძალვა 17 იანვარს. გამოსვენება თავისუფლების (ყოფილი მახარაძის) 117.

ინდექსი 76507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96 სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23 07. ტირაჟი 8000 შეკ. №121